

დებულება სპორტსმენთა და მწვრთნელთა ურთიერთობის შესახებ

1. სპორტსმენის მიერ პირადი მწვრთნელის შეცვლა უნდა მოხდეს საქართველოს ძიუდოს ეროვნულ ფედერაციასთან შეთანხმებით, რა დროსაც ფედერაცია იმჟამინდელ და მომავალ მწვრთნელებთან ერთად განიხილავს ყველა დეტალს და მიიღებს გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ფედერაციის გარეშე ამ საკითხის გადაწყვეტა ჩაითვლება ბათილად და დავის წარმოშობის შემთხვევაში საკითხი გადაწყდება პირველი მწვრთნელის სასარგებლოდ. ამავე დროს სპორტსმენებს ეკრძალებათ პირად მწვრთნელად ჰყავდეთ ისეთი პიროვნება, რომელიც არ მოღვაწეობს ამ კუთხით, რაც უნდა გამოიხატებოდეს სისტემატური საწვრთნელი პროცესის წარმართვაში.
2. აეკრძალოს ეროვნული ნაკრები გუნდების მთავარ მწვრთნელებს პირადი მოსწავლის ყოლის უფლება. ზემოაღნიშნული შეეხოს აგრეთვე მთავარი მწვრთნელის თანამემწეებს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მათ აქვთ დამოუკიდებლად გახსნილი სპორტული სექცია და ნაკრების სამწვრთნელო პროცესისგან თავისუფალ დროს ატარებენ ვარჯიშებს.